ბაკალავრიატის ადმინისტრაციული გზამკვლევი

პირველსემესტრელთა ჩარიცხვისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია

პირველსემესტრელმა სტუდენტმა ხელშეკრულების გასაფორმებლად* უნდა შეავსოს **ელექტრონული ანკეტა (აქტიურდება ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში) და** უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი (დედნის წარმოდგენით);
- ორი ცალი ფოტოსურათი, ბეჭდური (3x4), ელექტრონული ვერსია CD-ზე;
- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისათვის);
- უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

* არასრულწლოვანი სტუდენტობის კანდიდატის ნაცვლად, თსუ-სთან ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი არის მისი მშობელი, სტუდენტობის კანდიდატის დაბადების მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლისა და მშობლის პირადობის მოწმობის ასლის წარმოდგენის შემთხვევაში.

აკადემიური კალენდარი - სასწავლო პროცესის ვადები

2025-2026 საწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადები - ბმული

სასწავლო წელი შედგება ორი სემესტრისგან - შემოდგომის სემესტრი და გაზაფხულის სემესტრი.

სასწავლო პროცესის ვადების ბრძანებით განისაზღვრება:

- ✓ ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის ვადები;
- ✓ სააუდიტორიო მეცადინეობების ვადები;
- ✓ დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ვადები;
- ✓ არდადეგები.

ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

- ✓ ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში სტუდენტმა უნდა დაფაროს სწავლის სემესტრული გადასახადი, პირველსემესტრელები წარმოადგენენ საჭირო დოკუმენტაციას და აფორმებენ ხელშეკრულებას;

  ბრძანება თანხის გადახდის შესახებ: https://tsu.ge/ka/legal/46594
- ✓ თანხის გადახდა/ადმინისტრაციული რეგისტრაცია არის აკადემიური რეგისტრაციის/საგნების არჩევის წინაპირობა;

- ✓ აკადემიური რეგისტრაციის ვადებში სტუდენტმა უნდა აირჩიოს/დაარეგისტრიროს საგნები სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (uni.tsu.ge);
- ✓ სასწავლო კურსის შეცვლა ან გაუქმება დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან 1 კვირის ვადაში;
- ✓ ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში სტუდენტს უჩერდება სტატუსი.

თსუ-ს ყველა სტუდენტისთვის აიტი დეპარტამენტი ამზადებს თსუ-ს ელ.ფოსტებს, რომელიც აქტიურად გამოიყენება სწავლის პროცესში.

თსუ-ის მეილის დასამზადებლად აუცილებელია ადმინისტრაციული რეგისტრაციის დროს ლმს-ანკეტაში სტუდენტმა სახელი და გვარი შეავსოს იყოს ინგლისურ ენაზეც.

ელ.ფოსტა დამზადების შემდეგ აისახება uni.tsu.ge-ზე.

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა uni.tsu.ge
და ელექტრონული სწავლების პორტალი e-learning.tsu.ge

uni.tsu.ge

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის uni.tsu.ge-ს საშუალებით სტუდენტებს შეუძლიათ:

- ✓ მიიღონ ინფორმაცია აკადემიური რეგისტრაციის განრიგის შესახებ;
- ✓ აკადემიური რეგისტრაციის დროს აირჩიონ მიმდინარე სემესტრში შესასწავლი საგნები;
- ✓ გაეცნონ არჩეული საგნების სილაბუსებს;
- ✓ გაეცნონ სასწავლო განრიგს;
- ✓ გაეცნონ საგამოცდო ცენტრში დაგეგმილი შუალედური და დასკვნითი გამოცდების განრიგს;
- ✓ სასწავლო ბარათში ნახონ მათ მიერ არჩეული საგნები, მიღებული შეფასებები და მინიჭებული კრედიტები;
- ✓ აწარმოონ მიმოწერა როგორც ფაკულტეტის, ასევე თსუ-ის ცენტრალური ადმინისტრაციასთან და საგამოცდო ცენტრთან;
- ✓ მოითხოვონ ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ ან/და ამონაწერი სტუდენტის სასწავლო ბარათიდან კონკრეტული მახასიათებლების მითითებით (ორენოვანი/სველი ხელმოწერით/ელექტრონული ვერსია/ბეჭდით და ა.შ);
- ✓ აირჩიონ ან შეცვალონ დამატებითი (Minor) სპეციალობა;
- ✓ გადაამოწმონ ინფორმაცია სტუდენტის ფინანსური დავალიანების შესახებ;

- ✓ გაეცნონ სტუდენტის სახელზე გამოცემულ ბრძანებებს (ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის, დიპლომის გაცემის და სხვა);
- ✓ მიიღონ ინფორმაცია თსუ-ში და ფაკულტეტზე მიმდინარე სიახლეების შესახებ.

e-learning.tsu.ge

სასწავლო მასალების, დავალებების ასატვირთად, ასევე ლექტორებთან საკომუნიკაციოდ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოიყენება ელექტრონული სწავლების პორტალი e-learning.tsu.ge.

პორტალით სარგებლობისთვის საჭიროა:

- ✓ სტუდენტის თსუ-ს ელ. ფოსტის გააქტიურება gmail.com-ზე;
- ✓ თსუ-ს ელ. ფოსტით https://e-learning.tsu.ge/-ზე და ყველა იმ საგანზე დარეგისტრირება, რომელიც სტუდენტს uni.tsu.ge-ზე მიმდინარე სემესტრში აქვს არჩეული.

სწავლის საფასურის დაფინანსების შესაძლებლობები:

სოციალური პროგრამის ფარგლებში სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით რეგისტრაცია ცხადდება სექტემბრის თვეში, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, ელექტრონულ პორტალზე: http://socreg.mes.gov.ge

შეკითხვების შემთხვევაში სტუდენტები უნდა დაუკავშირდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელ ხაზს: 032 2 200 220

სოციალურად დაუცველ და/ან წარმატებულ სტუდენტებს, სწავლის საფასურის დაფინანსების თხოვნით, შეუძლიათ მიმართონ ადგილობრივ მუნიციპალიტეტების მერიებსა და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს.

პროგრამა „სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს“

სტიპენდიით დაფინანსების უფლების მქონე პირთა განსაზღვრა ხორციელდება გასული სემესტრის მონაცემების საფუძველზე. აქტიური სტატუსის მქონე წარმატებულ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, მოიპოვონ სტიპენდია თვეში 300 ლარის ოდენობით.

საგნები და პროგრამები

- ✓ არჩეული საგნების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად სტუდენტი უნდა გაეცნოს საგნების სილაბუსებს. სილაბუსებში გაწერილია საგნის შეფასების კომპონენტები, ქულათა გადანაწილება. ასევე საგნის ფარგლებში ყოველკვირეულად გასავლელი საკითხები, საჭირო ლიტერატურა და სხვა აუცილებელი ინფორმაცია;

- ✓ სტუდენტი ვალდებულია გაეცნოს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს და სხვა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სამართლებრივ აქტებს;
- ✓ ბაკალავრიატის საფეხურზე პროგრამის დასასრულებლად სტუდენტმა 8 სემესტრის განმავლობაში უნდა მოაგროვოს პროგრამით განსაღვრული 240 კრედიტი;
- ✓ ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტს ძირითად სპეციალობასთან ერთად შეუძლია აირჩიოს დამატებითი სპეციალობა (60 კრედიტი).

გამოცდები

შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება თსუ-ს საგამოცდო ცენტრში ან ფაკულტეტზე.

შუალედური გამოცდები

შუალედური გამოცდის აღდგენის პირობები:

- ✓ შუალედურ გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს ფაკულტეტი, სტუდენტი დეკანს მიმართავს განცხადებით, რომელშიც უთითებს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს და წარადგენს ამ მიზეზის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტს. გამოცდის აღდგენა შესაძლებელია მოხდეს შუალედური გამოცდის ჩატარების დღიდან 2 კვირის ვადაში;
- ✓ შუალედურ გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს საგამოცდო ცენტრი, სტუდენტი საგამოცდო ცენტრს ელექტრონული ბაზის საშუალებით (lms.tsu.ge) მიმართავს განცხადებით, რომელშიც უთითებს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს და გამოცდის აღდგენამდე წარუდგენს ამ მიზეზის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტს. გამოცდის აღდგენა უნდა მოხდეს შუალედური გამოცდის ჩატარების დღიდან 2 კვირის ვადაში.
- ✓ შუალედური გამოცდის აღდგენისათვის განკუთვნილი 2 კვირის განმავლობაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტისათვის ინდივიდუალური წესით შუალედური გამოცდის აღდგენა დასაშვებია მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას ინდივიდუალური წესით შუალედური გამოცდის აღდგენის თაობაზე იღებს ფაკულტეტის დეკანი.

დასკვნითი და დამატებითი გამოცდები

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევ ასტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების ქულების გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 21 ქულისა.

სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:
ა) გამოცდის მიმდინარეობისას სტუდენტის მოქმედება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის გამოცდების ჩატარების ინსტრუქციასა და თსუ-ს ეთიკის კოდექსთან;
ბ) დასკვნით გამოცდაზე დადგენილ ქულათა 50%-ზე ნაკლების მიღება.

სტუდენტი დამატებით გამოცდაზე დაიშვება მიმდინარე სემესტრის საგამოცდო პერიოდში:

- ✓ ძირითად გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს ფაკულტეტი, შესაბამის დამატებით გამოცდაზე გასვლა დასაშვებია დეკანის სახელზე სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას სტუდენტის დამატებით გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს დეკანი;
- ✓ ძირითად გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს საგამოცდო ცენტრი, შესაბამის დამატებით გამოცდაზე გასვლა დასაშვებია საგამოცდო ცენტრისათვის ელექტრონული ბაზის საშუალებით (uni.tsu.ge) გაგზავნილი მიმართვის საფუძველზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამატებით გამოცდამდე დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას სტუდენტის დამატებით გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს საგამოცდო ცენტრი;
- ✓ საბაკალავრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად შეფასების შემთხვევაში (F/FX), მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია;
- ✓ 41–50 ქულის შეფასების პირობებში ან/და ძირითად გამოცდაზე ჩაჭრილ სტუდენტს, რომელსაც დაგროვილი აქვს არანაკლებ 41 ქულისა, ავტომატურად ეძლევა შესაბამის დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
- ✓ დასკვნით ან დამატებით გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს ფაკულტეტი, დასკვნითი ან დამატებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადაში გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნისათვის სტუდენტი განცხადებით მიმართავს დეკანს, რომელშიც უთითებს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს და წარადგენს ამ მიზეზის დამადასტურებელ დოკუმენტს. გადაწყვეტილებას სტუდენტის გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს დეკანი;
- ✓ დასკვნით ან დამატებით გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, როდესაც გამოცდას ატარებს საგამოცდო ცენტრი, დასკვნითი ან დამატებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადაში გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნისათვის სტუდენტი საგამოცდო ცენტრს ელექტრონული ბაზის საშუალებით (uni.tsu.ge) უგზავნის წერილს, რომელშიც უთითებს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს და გამოცდამდე წარუდგენს დამადასტურებელ დოკუმენტს. გადაწყვეტილებას სტუდენტის გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს საგამოცდო ცენტრი;
- ✓ დასკვნით და დამატებით გამოცდებზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტისათვის საგამოცდო პერიოდის გასვლის შემდეგ გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დასაშვებია მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას საგამოცდო პერიოდის გასვლის შემდეგ გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნის თაობაზე დეკანის წარდგინების საფუძველზე იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

სტუდენტის შეფასება

დასკვნითი და შესაბამისი დამატებითი გამოცდის ჩატარების ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს, ასეთ შემთხვევაში გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ

თითოეულ კომპონენტში სტუდენტი მიიღებს ამ კომპონენტისათვის (წერა/ზეპირი) დადგენილ ქულათა არანაკლებ 50%-ს.

სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის საფუძვლები

სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

- ✓ ადმინისტრაციული ან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;
- ✓ პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე. სტუდენტმა შეჩერების მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირის განმავლობაში);
- ✓ უცხო ქვეყანის უსდ-ში სწავლის (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლის) ან ავადმყოფობის (თუ დოკუმენტურად დასტურდება სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა) საფუძვლით სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს თსუ-ს რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან 5 კვირის განმავლობაში.
- ✓ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში გამონაკლისი შესაძლოა დადგინდეს რექტორის ბრძანებით (საუდიტორიო მეცადინეობების პერიოდში).
- ✓ სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა (უცხო ქვეყანის უსდ-ში სწავლა ან ავადმყოფობა).

- ✓ *განსაზღვრული ვადების გასვლის შემდეგ სტუდენტი კარგავს სტატუსის შეჩერებისა და სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას.*
- ✓ *დაუშვებელია სტუდენტის სტატუსის შეჩერება გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თსუ-დან წასული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის.*

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები

- ✓ ერთი და იმავე სავალდებულო სასწავლო კურსში სამჯერ კრედიტის ვერმიღება;
- ✓ სტუდენტის სტატუსის შეჩერება 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში;
- ✓ პირადი განცხადება;
- ✓ სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
- ✓ ფაკულტეტის საბჭოს მიერ სტუდენტის მიმართ განხორციელებული დისციპლინური დევნის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების საფუძველზე;
- ✓ გარდაცვალება.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემიდან ერთი წლის ვადაში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია, ისარგებლოს გარე მობილობის უფლებით;
სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის საფუძველზე; ხოლო ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის სტუდენტის სტატუსის მინიჭება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მნიშვნელოვანი საკონტაქტოები

- ❖ ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით სტუდენტი უკავშირდება თსუ საფინანსო დეპარტამენტს (თსუ, პირველი კორპუსი, ოთახი №019) ან რეკავს ცხელ ხაზზე +995 32 2 250484.
- ❖ სასწავლო პროცესის მართვის სისტემის ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში სტუდენტი უკავშირდება თსუ IT სამსახურს ცხელი ხაზის +995 32 2 250484 ან uni.tsu.ge -ის საშუალებით.
- ❖ აკადემიური რეგისტრაცის დროს კურსის არჩევასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პორბლემის ან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციისთვის სტუდენტი მიმართავს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სპეციალისტს uni.tsu.ge-დან, ან თსუ, მესამე კორპუსის 107 ოთახში.
- ❖ დეკანის სახელზე განცხადების დაწერის საჭიროების შემთხვევაში, განცხადება იგზავნება ფაკულტეტის კანცელარიას მეილზე - chancellery.pes@tsu.ge (ან თსუ-ის მესამე კორპუსის 108 ოთახში).

თსუ-ის ადმინისტრაციის სამუშაო დღეებია:

ორშაბათი - პარასკევი

სამუშაო საათები 9:00-18:00

შესვენება 13:00-14:00